



19.11.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მეორე სამუშაო ჯგუფის  
სხდომის ოქმი №3

1. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	სტატუსი	ორგანიზაცია
დიმიტრი გვრიტიშვილი	თანამომხსენებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ზაზა ხარებავა	თანამომხსენებელი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
გიორგი მიქაუტაძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ქეთევან ცინცაძე	წევრი	დამოუკიდებელი ინსპექტორი
ვალერიან გავაშელი	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
შორენა მეზურნიშვილი	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
მაია ბოცვაძე	წევრი	თბილისის სააპელაციო სასამართლო
ნათია ვასაძე	წევრი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ლია მჭედლიშვილი	წევრი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
შორენა გიგაური	წევრი	საქართველოს უზენაესი სასამართლო
ქეთევან ბასილაშვილი	წევრი	თბილისის საქალაქო სასამართლო
ქეთევან ლაცაბიძე	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ონისე მეტრეველი	წევრი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ თომაშვილი	მონაწილე	ევროპის კავშირი
ვერიკო ბერეკაშვილი	დამკვირვებელი	საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა
ეკა ციმაკურიძე	დამკვირვებელი	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
ოლღა შერმადინი	დამკვირვებელი	საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო (TI)
მარიამ მხატვარი	დამკვირვებელი	ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)
თამარ აკობიძე	კოორდინატორი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	მდივანი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

## 2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხი

---

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსის განსაზღვრა, ახალი, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით.

## 3. მეორე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

---

2018 წლის 19 ნოემბერს, მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 12 წევრი. შეხვედრის დამსწრე წევრთა სრული უმრავლესობის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფმა შეხვედრაზე მონაწილეობის მისაღებად მოიწვია ევროკავშირის სასამართლოს მხარდაჭერის პროექტის ადგილობრივი ექსპერტი.

საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის სურვილის საფუძველზე, სამუშაო ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება დამკვირვებლის სტატუსით მათი სხდომაზე დაშვების თაობაზე.

მეორე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის მეორე სტრატეგიული მიმართულებით (ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა) გათვალისწინებულ შეუსრულებელ, ნაწილობრივ შესრულებულ და შესრულებულ აქტივობებზე. ამასთან, სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს შემდეგი აქტივობების შესრულების მდგომარეობაზე: განახლებული ეთიკის წესების დამტკიცება<sup>1</sup>, დეკლარაციების შევსების ახალი ინსტრუქციისა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გაცნობა მოსამართლეებთან, საჯარო სამსახურის ბიუროსთან კორდინაციით<sup>2</sup>, კორუფციის აღმოფხვრის თაობაზე სასწავლო მოდულის დამუშავება და დანერგვა მოსამართლეთა და სასამართლო მოხელეთათვის<sup>3</sup>, დისციპლინური სამართალწარმოების ელექტრონული პროგრამის შემუშავება და დანერგვა<sup>4</sup>, სტატისტიკის ერთგვაროვანი წარმოების მეთოდოლოგიის შემუშავება (სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციისთვის და ინსტიტუციისთვის) და დანერგვა ვებგვერდებზე და კომუნიკაციის სხვა არხებში, ანალიტიკური ანგარიშების წარმოების მეთოდოლოგიის (სასამართლოების, საბჭოს) მათი პერიოდულად გამოქვეყნების დანერგვა, მათ შორის ვებგვერდებზე და კომუნიკაციის სხვა

---

<sup>1</sup> პროგრამა 2.1.2-ის მეოთხე აქტივობა.

<sup>2</sup> პროგრამა 2.2.2-ის პირველი აქტივობა.

<sup>3</sup> პროგრამა 2.2.2-ის მესამე აქტივობა.

<sup>4</sup> პროგრამა 2.3.1-ის მესამე აქტივობა.

არხებში,<sup>5</sup> კომუნიკაციის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება, სასამართლო მოხელეებისთვის არსებული კომუნიკაციის სტანდარტის გადახედვა, ამოქმედება<sup>6</sup> და ა.შ.

ზოგიერთ აქტივობასთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოითქვა ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდანაც.

#### 4. მეორე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგ ზე

---

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმის მეორე სტრატეგიული მიმართულებით (ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა) გათვალისწინებულ აქტივობებს მიენიჭა სტატუსი შეუსრულებელი, ნაწილობრივ შესრულებული ან შესრულებული.

ჯგუფის წევრებმა საჭიროდ მიიჩნიეს პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციებთან დამატებითი შეხვედრების ორგანიზება, გარკვეული აქტივობების შესასრულებლად შემდგომი ნაბიჯების განსაზღვრის მიზნით.

თანამდებობის მფლობელი:  ნ. ბარბა  
 ნ. ბარბა

სხდომის მდივანი:  ნინო დემურბა  
ნინო დემურბა

<sup>5</sup> პროგრამა 1.4.1-ის პირველი და მეორე აქტივობა.

<sup>6</sup> პროგრამა 2.4.2-ის პირველი და მეორე აქტივობები.

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის  
იმპლემენტაციის მიზნით შექმნილი

II სამუშაო ჯგუფის (ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფა)

შეხვედრის დღის წესრიგი

1. სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების სტატუსის განსაზღვრა, ახალი, 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით.

შეხვედრის თარიღი: 2018 წლის 19 ნოემბერი

შეხვედრის დრო: 17:00 სთ.